№ 90 29 აპრილი, კვირა 1866—1879 29 აპრილი, კვირა № 90

# დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

**ფასი განცხადებებისა:** ერთ ასოზე—1 კაპ., ერთ-მეორეზე ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ Ბ. ᲨᲐᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ № 33.

ᲛᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲜᲔ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

| | |
|---|---|
| ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ — — | 8 ᲛᲐᲜ. |
| ᲔᲥᲕᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — — | 5 ᲛᲐᲜ. |
| ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — — | 3 „ |
| ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ — — — | 1 „ |

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ 6 (ᲔᲥᲕᲡᲘ) ᲛᲐᲜ.

ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

**ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲙᲚᲘ, 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ.** ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲥ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲦᲔᲜ. ᲞᲑᲠᲣᲩᲔᲕᲘ; ᲓᲦᲔᲡ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲝᲠᲝᲨᲘ ᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲨᲘᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲜ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲜᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗ ᲠᲣᲛᲔᲚᲘᲐᲨᲘ. ᲛᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲦᲤᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲮᲐᲚᲮᲛ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲦᲔᲜ. ᲞᲑᲠᲣᲩᲔᲕᲛᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗ ᲠᲣᲛᲔᲚᲘᲘᲡ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲣᲠᲐᲡ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲮᲐᲚᲮᲛ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲜᲣᲚ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 27 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ.** „ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ" ᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲠᲕᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲝᲗᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲐᲛ; ᲐᲛᲗᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜᲘ.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ 30,000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲕᲠᲔᲑᲡ.

**ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲢᲘ, 27 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ.** ᲐᲥ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲡ (ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲡ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ 24 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲓᲐᲛ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### ᲠᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲕᲔᲭᲘᲠᲔᲑᲐ?

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲣᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ 50%, ᲐᲜᲣ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲝᲡ „ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲝ."

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲔᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ-ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲝᲠᲘ-ᲐᲗᲐᲗᲐ ᲗᲣᲛᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲘᲗᲐᲗᲐ ᲗᲣᲛᲐᲜᲡ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲡ, ᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲐᲥᲕᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ 33,000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲘᲜ ᲐᲡᲔᲡᲮᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲛ თ. Ს. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲐᲡᲘ ᲢᲧᲓᲔᲑᲐ ᲮᲚᲛᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ: ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲭᲣᲠᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲝᲮᲘᲮᲛᲐᲠᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲡᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ.

ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ—ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲪ—ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲡ; ᲔᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ-ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲔᲠᲗᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲪ ᲓᲦᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲜᲐᲭᲘᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲨᲕᲔᲜᲘᲡ „ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲛᲔᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲚᲐᲓ" ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲣᲚᲡ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ—ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲐᲗᲐᲡᲯᲔᲠ ᲗᲥᲛᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ; ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲛᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗ, ᲘᲛᲐᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲘ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲘᲛ ᲤᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲛᲐᲗ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘ ᲙᲐᲞᲘᲙᲘ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲔᲕ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ—ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲗᲣᲛᲜᲘᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲐᲝ?

ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ; ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ Ს�წᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲗ; ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲪᲝᲗᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ, ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲡ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲗ ᲡᲔᲡᲮᲘᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ-ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲗ ᲡᲬᲐᲚᲐ-ᲪᲝᲓᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲛ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘᲗᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲓᲐᲛᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ, ᲔᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲔᲥᲕᲡ, ᲨᲕᲘᲓ ᲐᲑᲐᲖᲡ ᲓᲐ ᲝᲠ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ,—ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲛᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ; ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, რომელიც თხოულობს, რომ წმინდა მოგების ნახევარი მემამულეთა და მიწის მუშაკთა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად უნდა იყოს დახარჯულიო, რომ ეს მუხლი მართლა და ნამდვილად არის სისრულეში მოყვანილი.

ქუთაისის ბანკს, როგორც ზევით ვთქვით, იმ წმინდა მოგებას გარდა, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის უნდა დაიხარჯოს, აქვს კიდევ სამი ათას თუმანზე მეტი, რომელიც შეიძლება ამავე მიზნისთვის დაიხარჯოს. როგორც გვესმის, ზოგიერთებს განზრახვა აქვს, რომ ეს მომეტებული ფული მოახმაროს სააზნაურო სახლის აშენებას, ქართველ ახალ-გაზდობას სტიპენდიებს და სხვა ამგვარ საგნებს. უველა ეს კარგი და ჩინებული საქმეა; მაგრამ, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ ახლანდელი ქუთაისის საზოგადო კრება ყველაზე უფრო პირველად იმ ნამდვილ აუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილებაზე მოიფიქრებდეს, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

ს. მ.

---

## დღიური

*** ჩვენ მივიღეთ სამეგრელოდამ და იმერეთის ზოგიერთ ალაგებიდამ ბანკის დამწესებელთ თავად-აზნაურების საჩივარი, რომ წელს იმათ უწყება არ მიუღიათ იმაზედ, რომ 25 აპრილს ქუთაისში საზოგადო კრება არის დანიშნულიო. ეავე გარემოება გამოცხადებულია დღევანდელს „თფილისის მოამბეშიაც“.

არა გვგონია, რომ ბანკის გამგეობას ანუ ზედამხედველ კომიტეტს ამაში რამე ბრალი ჰქონდეს. თუ არ ვსცდებით, წესი ეს არის, რომ ზედამხედველი კომიტეტი აცნობებს ამ გვარს შემთხვევებში უეზდის მარშლებს, რომ კრება ამა-და-ამ დღისთვის არის დანიშნულიო, და უეზდის მარშალი თავის მხრით ვალდებულია თავის მაზრის მეკენჭე თავადაზნაურობას აუწყოს.

მართალია, გაზეთებში იყო გამოცხადებული კრებისათვის მოწვევა; მაგრამ მარტო ეს არ კმარა.

თუ ეს ამბავი მართალია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში მაინც ზედამხედველი კომიტეტი ეცდება ეს გარემოება გაასწოროს..

*** ჩვენ გვაცნობებენ ბათუმიდამ, რომ იქით მხრით ამ ქამად გაცხარებული მუშაობა არის გზებისაო; ერთის მხრით ბათუმიდამ ქობულეთამდინ აკეთებენ თურმე შოსსეს საურმე გზას; მეორე მხრით ბათუმიდამ ართვინამდინ საცხენო გზას.

ამ გზების მუშაობაზე ადგანან მომეტებული ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლები, არიან აგრეთვე ტრაპიზონის სომხები და ბერძნებიც (ხიდებზე მუშაობენ). ქობულეთლები კი, როგორც გვატყობინებენ, მაინცა-და-მაინც დიდის ხალისით არ მუშაობენო.

ბათუმიდამ ქობულეთამდინ გზა სულ ზღვის ნაპირზე გადის ხვეთა შორის ციხის-ძირზე გადიელი. ბათუმიდამ ქახაბერამდინაც აგრეთვე ზღვის ნაპირას და ქახაბერიდამ ართვინამდინ კი მიჰყვება მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირს.

*** შორაპნიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს იქ გადაცვლილა იქაური მომრიგებელი მოსამართლე ალექსანდრე დიმიტრის ძე ასლამაზოვი. ცხონებულმა, ამ თანამდებობის აღსრულების დროს, დაიმსახურა იქაური საზოგადოების თანაგრძნობა და მადლობა თავის მიუფერებელის და სინიდისიანის სამართლიანობით; ამიტომაც ხალხს, როგორც გვწერენ, ძალიან სწყენია ამ კაცის სიკვდილი, სწყენიათ იმიტომ უფრო, რომ ამისთანა კარგი მოსამართლის დანიშნვას ძნელად მოელიან.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ზორის უეზდის ორ სოფლის მასწავლებელს გადაუთარგმნია რუსულიდამ ერთი პედაგოგიური წიგნი „შესანიშნავი ბავშვები“ და ამ მოკლე ხანში დაბეჭდვას აპირებენო.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ერთ ფრანგის პატრს, რომელიც ამ მოკლე ხანში დაბრუნებულა რომიდამ, უთარგმნია ფრანცუზულიდამ ქართულად რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი და აბეჭდინებსო.

*** ხვალ, 30 აპრილს, თფილისის ქალაქის რჩევაში შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

მოხსენება ბამგეობისა პირუტყვის საკლავ ადგილის თაობაზედ;

მოხსენება ბამგეობისა ქალაქის პლანზედ და წყლის-გაყვანაზედ;

ამორჩევა დამფასებელ კომისიის წევრებისა, აუქციონის კამერის გამგებლისა და ორის აუქციონისტისა;

მოხსენება ბამგეობისა შტატების თაობაზედ;

აზრი ბამგეობისა სანიტარულ კომისიის წინადადების შესახებ;

განცხადება უფ. ხმოვანის ზარაფოვისა იმაზედ, რომ მძიმე საქმეები ორჯელ განხილვის (წაკითხვის) შემდეგ გადაწყვეტოს რჩევამ და სხვ.

---

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანი

ერთს ინგლისურს გაზეთში მოყვანილია შემდეგი ტელეგრამმა 21 აპრილს მიღებული სიმლიდამ:

„ავღანის ემირმა იაკუბ-ხანმა გამოაცხადა სურვილი, რომ ის წავა ქანდაჰაკში, სადაც ამ ქამად დაყენებული არის ინგლისის ჯარები, და პირადათ მოელაპარაკება იქ ინგლის-ინდოეთის მმართველობას მორიგების თაობაზედ. ამბობენ, რომ იაკუბ-ხანი ამ მოკლე ხანში აპირებს ქაბულიდამ წამოსვლას და თან რამდენიმე სარდარი (მინისტრები) და დიდი ამალი მოჰყავსო.“

## ოსმალეთი

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ამ აპრილის 20-ს იქ ყოფილა მინისტრების რჩევა, რომელზედაც, ბევრის ბაასის შემდეგ, გარდაწყვეტილა, რომ ოსმალეთისა და საბერძნეთის მოსარიგებელად სტამბოლში შეიკრიბოს ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების ელჩები და რასაც ისინი გადასწყვეტენ, ორივე მხარე იმაზე დაყაბულდესო.

— აღმოსავლეთ რუმელიაში (სამხრეთ ბოლგარიაში) ხალხის ღელვა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა. ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში იწერებიან, რომ, თუ ოსმალეთმა აქ თავის ჯარები გამოგზავნა, უეჭველია, ხალხის აჯანყებას უნდა ძოველოდეთო. და ალექსანდროფაშის ღენერალ-ღუბერნატორობასაც ხეირი არ დაეყრებაო. (დღევანდელს „დროებაში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ ხონთქარი არ აპირებს ოსმალოს ჯარების დაყენებას აღმოსავლეთ რუმელიაში).

— „პოლიტიკურ კორრესპონდენციის“ სიტყვით, ყველა რუსის ჯარები, რომელიც კიდევ დარჩა რუმელიაში, მომავალი მაისის დამლევამდინ უკან დაბრუნდებაო. დარჩება მხოლოთ 50,000 კაცი, რომელიც, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ერთის წლის განმავლობაში უნდა იყვეს რუმელიაში ჩაყენებული, სანამ იქ სრული მშვიდობიანობა არ დამყარდება და სანამ ოსმალები რიგიან წესებსა და მართველობას არ შემოიღებენ.

---

## წერილი რედაქტორთან *)

—

უფ. რედაქტორო!

დღეს წავიკითხე თქვენი გაზეთის № 77-ში სტატია ბანკის გამგეობის შესახებ და აგრეთვე შემდეგ №№-შიდაც გამწკრივებული სტატიები სულ ბანკზე და ბანკზე, მისს წასულ და მომავალ გამგეობაზე და გამგებელზე და, მართალი მოგახსენოთ, ძალიან საშწუხაროდ ჩავაგდე, რომ არ მელირსა წაკითხვა თავის დროზე იმისთანა მშვენიერად და მოხერხებულად მართალ-ტყუილი შეკაზმული და შეფერადებული სტატიებისა, მიტომ რომ ეს ოცი დღეა რაც ყავილით ავად ვარ და თუ გაგონება, თვარა თავად წაკითხვა არც შემეძლო და, დახე უბედურებას დაიჯერებთ? — ვერც ვიშოვე ეს ნუმერი, რომლითაც ასე ნა-

*) ერთის სიტყვის შეუცვლელად ვბეჭდავთ ჩვენ ამ სტატიას იმ განზრახვით, რომ არავის მიეცეს უფლება სთქვას, რომ ჩაუდგიათ გაზეთი ხელში და რაც უნდათ — იმას ბეჭდავენ, ვისაც უნდათ — ლანძღავენ, კაცს ხმას არ ამოაღებინებენო. ბეჭდავთ და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სტატიების ავტორი პასუხს მისცემს ამ წერილის ავტორს. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიანად შემკობილი არის ბანკის გამგეგობა. დღეს, ათასის ცდითა და ჭაპანწყვეტით ძლივს გამოესძებნე სადღაც ბაზარში და ძალიან ძვირადაც ვიყიდე (უნდა გახაროთ) ის ერთი ბეწო ფურცელი „დროებისა“.

წაიკითხე და გაეკვირდი,—კი არა და უნდა სწორე გითხრათ ჩემი სისუსტე, შეეწუხდი და მეწყინა, მიტომ კი არა რომ სტატია არ მომეწონა,—არა! სტატია ძალიან შემაქცევარი კილოთი არის დაწერილი, კარგა დაჭრელებული ავითა და კარგით, სიმართლითა და სიცრუით,—მკითხველს ერთ ნაირობით არ მოაწყენს! ან კი რა საკვირველია, თუ ტყუილები მასალად გამოდგებოდეს, მზემ-დის ამწედომ კიბესაც ადვილად აიშენებს კაცი. მიტომ მეწყინა, რომ ვერ მემართლა. რაშიდაც მოქმედი ვარ, რისიც დამსწრე ვარ და მცოდნე, იმის ამბავის ვარყვნით და გაუკულმართებით, რა საკვირველია, ვერავის მოვ ტყუებინებ მკითხველს და გამგონ საზოგადოებას.

სტატიის ავტორს თავისი სახელი გაუქვრია და ასე უჩინ-მაჩინის ქუდ-დახურულს ბევრი ტალახი უსვრია ჩემკენაც და სხვებისკენაც; მაგრამ, „წინამძღოლელი სტატია რედაქციას უკან ამომაფარებსო და ამისთანა სქელ-საფარში ჩამჯდარს მე ვერაფერი მომხდებაო“—უფიქრია და ამისთვის გარჯილა ასე მამაცად და ნამუსიანად, მხოლოდ მეუცხოვა კი ეს წინამძღოლელი სტატია სხვებსავით ს. და მ—ით ესე იგი თქვენი სახელი და გვარით, უფალო რედაქტორო, როგორც ჩვეულება გაქვსთ, არ არის მოწერილი. ამიტომაც დავასჩენი, რომ რედაქციას არ ეკუთნის და არც უნდა ეკუთნოდეს იმისთანა ქუჩაზე მონახვეტი, კურდღელივით მეჩიგვნარე მწერელისგან გამოღერღილი სტატია.

საქმე ისე არ გახლდათ, როგორც უჩინარი ავტორი ატყუებს მკითხველებს; აი როგორ იყო: განსვენებული ბ. ღოლაბერიძის უცებ სიკვდილი როგორც შევიტყე, წავედი და ბინის სახლში ვნახე ნათესავები, მეგობრები, მცნობები და ზოგიერთი ამხანაგები მიცვალებულისა. იმისთანა კაცის და ისე მახლობელის სიკვდილი, რა საკვირველია, ზარდასაცემი იყო ყველასთვის, ვისაც კი ქონდა ცნობა და გრძნობა; მაგრამ ტვინის ამრევი კი არა და დავთრის დამშელელი. მს აქ არავის დამართია და თფილისს სწორედ უ. ბიორგი წერეთელისთანა უცხო ენებზე განათლებულ მწერალსაც ისე თავს დაცემია, რომ ლოლიკა მოუშლია და დაუწერინებია განსვენებულ ბესარიონზე, რომ, კარგი რომ იყო, მიტომ ვაგინებდით და ვებრძოდითო და ამითი უკეთესი შეიქმნებოდაო!!!

აქ მხოლოდ კასსა შევამოწმეთ და თუ მე ვინმეს ვეწინააღმდეგე და დაუშალე, თვარა ჩემი პირისაგან კასსის დაბეჭდვის არა „ამოსულა,-რა,—ეს ყველა დამსწრემ იცის. ბანკის დაკეტა, შინ წასვლა, ამისი რჩევა ერთმანერთის შინ-ნეული სახით შეჩერებულად დიდს მწვანე სტოლზე, ძალიან ლამაზი თხზულება არის ავტორის მსგავსი კაცებისათვის, მაგრამ დიდად-უშვერი სიცრუეა და არაფრად საკადრისი საპოლემიკო ოინი. ბუხგალტერისა და კასსირისაგან ნუგეშინის ცემა ბანკის საქმის წარმოებაში, „მცოდნე ჩვენ ვართო და თქვენ ნურას ინაღვლითო“,—ესეც ერთი იმ ტყუილების ფერადთაგანია, რომელსაც საზოგადოებასთან ჩვენი დაბეზღების ფერი ერთობ საჩინოდ უჩანს და ავტორის სურვილის სვინიდისიანობაც ზედ-ანია.

მაგრამ ტყუილი ასე კი არ უნდა,—ეს უბრალო ბეზღიანი მოგონება არის; ტყუილი ასე უნდა, როგორც ავტორი აბობს ჩვენს დაფეთებაზე „ლიკვიდაციის“ გაგონებით,—ეს არის მეტად უკულმართი და სვინიდისის უარის-მყოფელი ცილისწამება, მაგრამ. როგოც მოგეხსენებათ „მახათს მჯიღი არ შემოეკერის.“ ჭეშმარიტებას ფაქტისას ვერა ვინ შემალავს სითამამით ნაიქვამ ცრუ სიტყვების ბღლვირში —ერთი ეს რომ იმ დღეს. როდესაც ბანკში შეყრილ-იყვნენ რამოდენიმე პირები გამგებლის კანდიდატურაზე მოსალაპარაკებლად, არ მიგვიღია ლიკვიდაციის მაუწმეველი ტელეგრამმა, და არც სულ ამაზე ტელეგრამმა არ მოგვსლია. იმის წინეთ ორი კვირით მივიღეთ ბარათი პეტერბურგელი ბანკირიდამ, რომელსაც მე არ დაეუფფეთებივარ და არავისთან და ნამეტურ კასსირთან და ბუხგალტერთან შემხვეწედ არ მიეუყვანივარ, რომ ბანკში სამსახურის მესამე წლის ბოლოს საფინანსო და საბანკო ტერმინოლოგია ესწავლა და მანამდის კი ჯამაგირის სიხარბის გამო ცოდნის შეფერებით გაბერილს მომეტყუებინა საზოგადოება, რომელმაც სამაგალითო რწმუნება დამიმტკიცა წასრული ამორჩევის დროს.

ეს იმ სიმსხო უსვინიდისობა და უმადურობა არის, რომელიც მე ღვთის მადლით არა მაქვს, თქვენც, უ. რედაქტორო, დამემოწმებით, მიტომ კი არა რომ თქვენ ჩემი პატიოსნება და მადლიანობა გწამდეს,—მიტომ რომ არც თქვენ და არც უწინდელი რედაქცია „დროებისა“ არ დამწამებთ უმცოდინარობას იმისთანა საქმისას, რომელიც ჩემთვის უცხო არ იყო, სანამ ბანკის წესდების პროექტით ჩვენში კომმისიები დაორსულდებოდენ. საშწუხარო იქმნებოდა სწორედ და ეგება საზიანოც, რომ ავტორის გამოჩენა ჩვენი უმეცრებისა მართალი ყოფილიყო. მაგრამ ახლა სამწუხარო ეს არის ყმაწვილ-თაობაში, რომლისგანაც მოელის საზოგადოება სწორ-გარკვევას და სინათლეს, სამართლიანობას, გრძნობის სიწმინდეს, უმეცრების და შურის დანაკოდი წყლულების გამმრთელებულ მალამოს,—შეიხიზნა(?) და აგერ დაბუდებასაც აპირებს კერძოობა, შურიანობა, პირადი შულლი, დაუნდობლობა, ცილის-წამება, ორ-პირობა(?!) და ყველაზე უარესი ეს არის, რომ ამ უბედური თვისებაებისაგან დამონებული კაცები ქვეყნის მოკეთეების სახელით გამოდიან, თავის ჩამომაველობითს, თანშეზდილს ბიწიერებას პუბლიცისტის და საზოგადო მოქმედის საქებ და საპირო ღონედ აღიარებენ და, თავისის გულისთქმის მორჩილნი, არ ზოგვენ არც ცილის-წამებას, არც დაბეზღებას(!!), არც სიმართლის მრუდად ჩვენებას და ამ უკეთური გზით, მართლისა და ნათლის მომლოდე საზოგადოებას თვალში მტვერს ყრიან, რომ თვალის სეირი დაუბნიონ და ნისლში და ბინდში დაანახონ მათთვის პირად უსიამოვნო კაცები, ან მათი ქომაგის, ან საპატრონო მეგობრების მაღლა აწევის მაშალა პირები(?!!).

მოგახსენეთ, „ლიკვიდაციის“ ამბით ელდა არ მცემია და კასსირის და ბუხგალტრის დამფრთხალ-მოწაფედ არ დავვარდნილვარ მეთქი; მეორეც ეს რომ სრულებით ჩვენ ზედამხედველი ქომიტეტი არ მოგვიწვევია, არც იმ დღეს და არც სხვა დროს ამ საქმეზე; არც გაკოტრება, არც „დალუპვაზე“ გოდება ჩემი პირიდამ არ ამოსულა და არც არავის შიშის ზიარი არ ვყოფილვარ. თუ ვიყავი გაკვირებულათ და ეგებ უსიამოვნოდაც რომლისამე ახირებულის ფაცაფუცისა და უსაფუძვლო შემწამებლობის წარმოთქმისათვის, გადამეტებული და დროს უქმად-მრთმევი დავა(ბაასი)ათვის, თუ რომ ვერ მივიღე ყველა „არა მკითხე მოამბე“-ს რჩევა, თუ რომ ვერ მივიჩინე ჩვენი დიდი მოღვაწეობის და საზოგადოების წინ თავის გამართლების საბუთად ორიოდე ტელეგრამმების ერთი მეორეზე მიდეზებით გაგზავნა და ვერც საქმის მარგებლად ჩავთვალე უბრალო, უნაყოფო წოტიალი და ამით, ეგებ, ვისსამე გაჯავრებულ საგრძნობლებს ბევრი ეპიტეტებით შევამკობინე ჩემი თავი და ბოლოს თუ რომ ვისმეს ჩემ მაგიერად თითონ რეტი დაესხა და თრთოლა მოუვიდა და ეს თავისი სიჯაბნე სირცხვილით ვერ გაამხილა და იფიქრა ჩემზე, „იმას დავაბრალებ და უფრო მართალს ეგვანებაო“ და ამ გზით ავტორს ასე სწორი ცნობა მოუვიდა,—ეს რა ჩემი საგმობელია და საზოგადოების წინ დასაბეზღებელი? დანაშაული? თუ ავტორი არ დასწრებია, არ იცის საქმე და კითხვის-კითხვით ტყობულობს ამბავს, გუბე-წუმპისაგან კი არ უნდა ამოიღოს ტალახი და ბაყლი, უფრო წმინდა, თავ-ანკარა წყაროებიდამ ამოიღოს წმინდა, აუმღვრეველი ამბავი და ისე ნათლად უნდა გაფინოს ქვეყნის წინ და თუ დაე წრო, მაშინაც ნაჩურჩულევი და მიძაგავსებით მიპირებული კი არ ირწმუნოს, თვითონ ჩახედოს ნამდვილ საქმეს. ეს ავტორი, არ ვიცი რომელს ამოირჩევს ამ ორში: თუ არ იცოდა, დაიჩემა და ეს ასე ქვეყანას უღაღაღებს,—დიდი სიბრიყვეა და თუ იცოდა მართალი და ასე უკულმა გადაბრუნა და გადარ-გადმორია საზოგადოების წინ,—ხომ უსირცხვილო ცილის-წამება არის. მე თუ მკითხავ, არც ერთი ამ ორში სახელს არ უკეთებს იმას, ვისაც გარემოება აიძულებს ამ გამოსაჭენებელ არჩევანში შესვლას.

ნ. ადიანი

(მაგრამ — 15 ...)

# განცხადებანი

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მ ამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარე** ამით აცხადებს რომ ბანკის წესდების მე—83 § ის საფუძველითა 20 მარტს ამა წლის ზედამხედველ კომიტეტის ვარდაწყვეტილებით ბანკის დამწესებელნი მოწვეულნი არიან ამ 30 აპრილისათვის მეხუთე ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც იქნება დილის 10 საათზედ ბანკის სადგომში

(1—1)

---

თელავის უეზდში, სოფ. ქონდოლში **დაიკარგა ოქრი ცხენი:** ერთი, წითელი ქურანი იაბო, ოთრლა; ძუა-ფაფარი შავი აქვს, მარჯვენა ბარკალზედ უკანიდგან მელისაგან დაგლეჯილია, ტანად მაღალია, ცხრა წლისა; მეორე, იაბო, შუა-ტანისა, სქელი, ათის წლისა, ფერით ჭროლა, შუა-ფაფარი გრძელი და შავი, ჭიაში გაფუჭებულია, დამლა ძლივს ეტყობა—ემსგავსება ქართულ ასოს **ო.**

ეს ცხენები დაიპარეს ამ წლის 27 მარტს.

ვინც ამ ცხენებს მიპოვნის, მიიღებს ჩემგან საჩუქარს სამს თუმანს, ერთშიორ თუმანს.

ცხენები მეკუთვნის მე თელავის უეზდში, სოფ. ქონდოლს მცხოვრებს **ბრიგორ ბაჩეჩილაძეს**

(3—1)

---

**გამგებელი კომიტეტი „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმოკრჩილესად სთხოვს ამ „საზოგადოების“ წევრთ მოგბძანდნენ საზოგადო მოკრიბ კრებაში, რომელიც, წესდების § 7-ის ძალით, შესდგება 10 მაისს თფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, დილის 10 საათზე.**

(5—1)

---

ჟუთაისში

## კ. 	esხის წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე,** უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальныйс куръ рус. языка для друзинъ) —შედგენილი ბ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი ღაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — — 50 კაპ.

6) **გუნების კარი**—ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი,** შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო,** მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — — 30 —

11) **არანკა,** პოემა ბ. ფერეთლისა— — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო,** ბარ. ჯორჯაძისა — — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალი ფული და მაშენიკები**—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — — — 25—

17) **„ბუტიაობა“** ეოდეევილი აკაკისა — — — — — — 20 —

18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი** — — — — 30 —

20) **მგოსანი**—**ლექსები**— 20 —

21) **ანუკა ბატონიშვილი** 20 —

**აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები** რუსულს ენაზე **კარტები, ატლასები, კალენდრები, რეფულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა** და სხვ. და სხვ.

**სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.**

**მაღაზია იმყოფება** მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ალუბის ქვეშ.

---

**უფ. ბ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში **და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის** მაღზიაში **ისყიდება**

## „ვაი ჭკუისაგან“

**კომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.**

**ფასი—ექვსი შაური**

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| ბორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| უვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედი . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| უვ. ილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| ბორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა. . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

### ტელეგრაფი

**ოცი სიტყვა თფილისიდამ:** — მან. 1, კაპ. 80

**ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.** . . . . . — 50

**როსტოვ, ოდესას, მოსკოვს** 2 —

**პეტერბურღს, ვარშავას** . . . . 2 —

**ოსმალეთშ, შვეიცარიაში.** . 3 —

**იტალიაში და საფრანგეთში** . 3 50

**ინგლისში** . . . . . 3 75

### ფოჩტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, **ქუთაისს, რუსეთს**— ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ. ორშ.** და **ხუთშ. ოზურ.**—**პარასკ.** და **ორშ. ქალეთს**—**სამშ.** და **შაბ.** ბ) **ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ**— ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურგეთს**—**ორშ.** და **პარასკ.**

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| **ლია** წიგნის . . . . . | 4 |
| **დაბეჭდილის** (ბეჭდი მისახელი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| **თფილისი, 27 აპრილს.** | | |
| **ფქვ. თეთ. ბანჯიხა, ფთ.** | 1 | 80 |
| **ფქვილი წითელი** . . . | 1 | 60 |
| **ქერი ფუთი** . . . . . | 1 | 20 |
| **ბამბა ერევანისა, ფუთი** . | 7 | 30 |
| **—ამერიკიისა, ფუთი** . . | 8 | 20 |
| **ბაპენტილი ბამბა ფუთი.** | 9 | 60 |
| **მატყლი თუშური ფუთი.** | 6 | 60 |
| **—მარაქამისა ფუთი** . . | 3 | 80 |
| **აბრეშუმი ნუხური სტ** . | 2 | 10 |
| **ქონი, ფუთი** . . . . . | 5 | 60 |
| **ქონის სანთელი ფუთი** . | 7 | 55 |
| **სტეარინის სანთელი, ფთ.** | 12 | 60 |
| **ხორცი ძროხისა, ლიტ.** | — | 90 |
| **—ცხვრისა, ლიტრა** . . | — | 99 |
| **სპირტი ვედრო** . . . . | 4 | 60 |
| **შაქარი, ბროც. ფუთი** . | 7 | 40 |
| **—ფხვნილი ფუთი** . . | 5 | 60 |
| **ულავ ბრგვალი, გირვ** . | — | 65 |
| **ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი** | 11 | 80 |
| **თამბაქო, ხაშურ. ფთ.** | 7 | 20 |

### თფილისის სამკურნალო.

**ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს** **დღე** დილის 9 **საათიდამ** 1-**მდინ.**

**ორშაბათს: ვერმიშევი** და **ბარ. ლევიჩი**—**შინაგ. ავათ., ქიურარიანც**—**ქალის ექიმი** და **საშვილოსნოს ოპერაციები.**

**სამშაბათს: ვერმიშევი**—**შინაგ. ა. ბახუტოვი**—**საბებიო** და **ბავშვის. პეუნოვი**—**თვალის.**

**ოთხშაბათი: ვერმიშევი** **შინაგანი ავათმყოფობის.**

**ხუთშაბათს: ვერმიშევი**—**შინაგ., ქიურარიანცი**—**სიფილიტიკური** და **საშარდე ორგანების.**

**პარასკევს: ვერმიშევი**-**შინაგ., ა. ბახუტოვი**—**საბებიო, ქალისა** და **ბავშვების.**

**შაბათს: ვერმიშევი** **შინაგ., და** **პეუნოვი**—**თვალისა.**

*Дозволено цензурою. Тифлисъ 28 Апрѣля 1879. Типографія Меликова.* ბეჭდავს ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.